



პრიმო ლევი

განა ეს ადამიანია

დიდგენის
ბიბლიოთეკა

პრიმო ლევი
ბანა ეს ადამიანია

Primo Levi
SE QUESTO È UN UOMO

იტალიურიდან თარგმნა დარეჯან კიკოლიაშვილმა

თბილისი
ნიგნის მსოფლიო
ფუნდაციაში
2021

ნიგნი გამოცემულია პროექტის „თბილისი – ნიგნის მსოფლიო
დედაქალაქის“ ფინანსური მხარდაჭერით.

© 1958, 1963, 1971, 1973, 2005, 2012 Giulio Einaudi editore s.p.a., Torino
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-725-1

www.diogene.ge

სარჩევი

მგზავრობა	11
ფსკერზე.....	22
ინიციაცია.....	42
კ. ბ.....	47
ჩვენი ღამეები	64
სამუშაო.....	74
კარგი დღე	82
სიკეთისა და ბოროტების აქეთა მხარეს.....	90
დანთქმულნი და ხსნილნი.....	101
ქიმიის გამოცდა	118
ულისეს ქება	127
ზაფხულის ამბები.....	136
1944 წლის ოქტომბერი	144
კრაუსი	153
Die drei Leute vom Labor	158
უკანასკნელი	168
ათი დღის თავგადასავალი	175
დანართი.....	202

თქვენ, თბილი, მყუდრო სახლების მკვიდრო,
თქვენ, ვისაც ცხელი შეჭამანდი
და კეთილი სახეები გეგებებათ
შინ დაბრუნებულთ,
დაფიქრდით, აბა, თუ არის კაცი,
ვინც ლაფში შრომობს,
ვინც არ იცის, რაა მშვიდობა,
რომელიც იბრძვის ლუკმაპურისთვის
და კვდება ერთი „ჰოს“ ან „არასგან“.
დაფიქრდით, აბა, თუ არის ქალი,
გადახოტრილი და უსახელო,
ვისაც წაართვეს მეხსიერება.
უმეტყველოა მისი თვალები,
და მისი საშო – უნაყოფო,
ზამთრით დამზრალ გომბეშოსავით.
არ დაივინყოთ, რომ ეს მოხდა,
ამას გიბრძანებთ,
გულისფიცარზე დაინერეთ ეს სიტყვები
სახლში მყოფმა, გზაზე დამდგარმა,
ადგომისას თუ დანოლისას;
უმეორეთ ისინი შვილებს.
თუ არა, სახლი თავს დაგემხოთ,
შეგჭამოთ სენმა
და ნაშეირმა პირი ზიზლით იქციოს თქვენგან.

ბედის წყალობით აუშვიცში მხოლოდ 1944 წელს გადამიყვანეს, ანუ მას შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობამ, მუშახელის სულ უფრო შესამჩნევი ნაკლებობის გამო, გადაწყვიტა, ტყვეთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გასაზრდელად საგრძნობლად გაეუმჯობესებინა მათი საარსებო პირობები და შეეზღუდა ზედამხედველთა მხრიდან თვითნებური მკვლევლობები.

ამიტომ ჩემი წიგნი, სასტიკი დეტალების მხრივ, ვერაფერს დაამატებს იმას, რაც მთელი მსოფლიოს მკითხველებმა უკვე იციან სიკვდილის ბანაკების საზარელ ამბებზე. ეს წიგნი ახალი ბრალდებების წასაყენებლად არ დანერილა, ის დოკუმენტი უფროა ადამიანის სულის ზოგიერთი ასპექტის მშვიდად შესწავლისათვის. შეიძლება, ბევრს დაემართოს, ცალკეულ ადამიანსა თუ მთელ ხალხს, რომ გააზრებულად ან გაუაზრებლად ყველა უცხო მტერი ეგონოს. უმეტეს შემთხვევაში, ეს რწმენა სულის სიღრმეში დევს, როგორც ლატენტური ინფექცია, მხოლოდ ერთეულ და არაკოორდინირებულ ქმედებებში იჩენს თავს და აზროვნების რამე სისტემას არ წარმოშობს. მაგრამ თუ წარმოშვა, თუ ეს ფარული რწმენა რამე სილოგიზმის მთავარ წანამძღვრად იქცა, მაშინ ჯაჭვის ბოლოს ლაგერი გველოდება. ლაგერი¹ სამყაროს გარკვეული კონცეფციის პროდუქტია, მტკიცე თანამიმდევრულობით მიყვანილი თავის შე-

¹ ავტორი სიტყვა „ლაგერს“ გამიზნულად იყენებს და დიდი ასოთი წერს, როგორც ტიპური გერმანული რეალობის აღმნიშვნელს, ისევე, როგორც მრავლადაა დატოვებული ლაგერის ყოველდღიური ლექსიკა: „ჰეფთლინგი“, „კაპო“, „კომანდო“, „პრომიინენტი“, „მინაშკა“, „ტაგესრაუმი“ და სხვ. გერმანულ სიტყვებს ლევი წერს ისე, როგორც ახსოვს, ზოგჯერ არასწორადაც.

დეგებამდე: ვიდრე კონცეფცია არსებობს, მძიმე შედეგებს თავიდან ვერ ავიცილებთ. მასობრივი განადგურების ბანაკების ისტორიას ყოველი ადამიანი საშიშროების მომასწავებელ ნიშნად უნდა მიიჩნევდეს.

ვხვდები, რომ ნიგნს სტრუქტურული ხარვეზები აქვს და შენდობას ვითხოვ. თუ ფაქტობრივად არა, ეს ნიგნი, როგორც განზრახვა და ჩანაფიქრი, ჯერ კიდევ ლაგერის დღეებში გაჩნდა: მოთხოვნილება, რომ *სხვებისთვის გვეამბო, სხვები გაგვეხადა* თანამონაწილედ, გათავისუფლებამდე და მის შემდეგაც იმდენად მყისიერი და სასტიკი იმპულსი იყო, ლამის დაეჩრდილა ყველა სხვა ელემენტარული მოთხოვნილება. ამიტომ ნიგნი, პირველ რიგში, მის დასაკმაყოფილებლად და, შესაბამისად, იმისათვის დაინერა, რომ შინაგანად გავთავისუფლებულიყავი. აქედან გამომდინარეობს მისი ფრაგმენტული ხასიათი: თავები დაინერა არა ლოგიკური თანამიმდევრობით, არამედ სულმოუთქმელობის კარნახით. ტექსტის გამთლიანებისა და ეპიზოდების შეჯერების სამუშაო გვიანდელია.

ზედმეტად მიმაჩნია იმის დამატება, რომ არც ერთი ფაქტი მოგონილი არ არის.

პრიმო ლევი

მზავრობა

ფაშისტურმა მილიციამ 1943 წლის 13 დეკემბერს ამიყვანა. 24 წლის ვიყავი, არც ისე ჭკუადაძვდარი, სრულიად გამოუცდელი და რასისტული კანონების ოთხწლიანი პერიოდით განპირობებული გარიყული არსებობის გამო საკუთარ, არც მთლად რეალურ სამყაროში ვცხოვრობდი, რომელიც სავსე იყო დეკარტისეული კეთილშობილური ოცნებებით, გულითადი კაცური და არაფრის მთქმელი ქალური მეგობრობით. ჩემში ამბოხების ზომიერი და აბსტრაქტული გრძნობა ღვიოდა.

ადვილი გადასაწყვეტი არ ყოფილა, მთისკენ ამელო გეზი და ჩემი წვლილი შემეტანა იმის შექმნაში, რაც ჩემი და ჩემზე ცოტა უფრო გამოცდილი მეგობრების აზრით, „სამართლიანობა და თავისუფლების“ მოძრაობასთან დაკავშირებულ პარტიზანულ ბრიგადად უნდა ქცეულიყო. გვაკლდა კონტაქტები, იარაღი, ფული და მათი მოპოვების გამოცდილება. გვაკლდა ნიჭიერი ხალხი და წალეკილი ვიყავით ბარიდან ამოსული, თითქმის გამოუსადეგარი ადამიანებით, რომლებიც არარსებულ შენაერთს, მეთაურებს, იარაღს ან თუნდაც მხოლოდ მფარველობას, სამალავს, ცეცხლის სიტბოსა თუ წყვილ ფეხსაცმელს ეძებდნენ.

იმ დროს ჯერ კიდევ არავის აეხსნა ჩემთვის კანონი, მოგვიანებით სწრაფად რომ ავითვისე ლაგერში, რომლის მიხედვით, ადა-

მიანის უპირველესი საზრუნავია, „მიაღწიოს საკუთარ მიზნებს შესაბამისი საშუალებებით და ვინც ცდება, მან უნდა ზღოს“, ამიტომ ისლა დამორჩენია, სამართლიანად მივიჩნით შემდგომში მომხდარი ამბები. მილიციელთა² სამი ცენტურია, რომელიც ღამით წამოვიდა გვერდით ხეობაში დაბუდებული, ჩვენსაზე გაცილებით ძლიერი და საშიში ბრიგადის შესაპყრობად, ჩვენს თავშესაფარში თოვლიან, პირქუშ ალიონზე შემოიჭრა და როგორც საეჭვო პიროვნება, ბარში წამიყვანეს.

დაკითხვებზე, რომელიც ამ ამბავს მოჰყვა, ვამჯობინე, თავი „ებრაული რასის წარმომადგენელ იტალიელ მოქალაქედ“ გამომეცხადებინა, რადგან მიმაჩნდა, რომ სხვაგვარად ვერ შევძლებდი, გამემართლებინა ჩემი ყოფნა საცხოვრებელი ადგილიდან იძულებით აყრილი პირისთვისაც კი ასეთ გადაკარგულ ადგილზე და ვფიქრობდი (ვცდებოდი, როგორც შემდეგ გამოჩნდა), რომ ჩემი პოლიტიკური საქმიანობის აღიარება უეჭველ წამებასა და სიკვდილს მიქადდა. როგორც ებრაელი, ფოსოლიში გამიშვეს, მოდენის ახლოს, სადაც, უფრო ადრე ინგლისელი და ამერიკელი სამხედრო ტყვეებისთვის განკუთვნილ დიდ ბანაკში, თავს უყრიდნენ ახალშექმნილი რესპუბლიკური ფაშისტური მთავრობისთვის მიუღებელი არაერთი ჯგუფის წარმომადგენლებს.

ჩემი მისვლის დროს, ანუ 1944 წლის იანვრის ბოლოს, ბანაკში დაახლოებით 150 ებრაელი იმყოფებოდა, მაგრამ რამდენიმე კვირაში მათმა რიცხვმა ექვსასს გადააჭარბა. ძირითადად ოჯახები იყვნენ, რომლებიც ფაშისტებმა ან ნაცისტებმა დაიჭირეს საკუთარი გაუფრთხილებლობით ან სხვების დასმენის გამო. ზოგიერთები, ცოტანი, საკუთარი ნებით ჩაბარდნენ, რადგან მანანნალა ცხოვრებამ სასონარკვეთამდე მიიყვანათ, ან თავის გატანის საშუალება აღარ ჰქონდათ, ან დაჭერილ ახლობელთან დაშორება არ უნდოდათ, ან აბსურდულად უნდოდათ, კანონის შესაბამისად მოქცეულიყვნენ. აქვე იყო

² ეროვნული უშიშროების მოხალისეთა მილიცია – 1923 წლიდან მოქმედი, დიდწილად სკვადრისტებით შევსებული გასამხედროებელი სადამსჯელო რაზმები.

დატუსაღებული ასამდე იუგოსლავიელი სამხედრო და რამდენიმე სხვა პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო უცხოელი.

გერმანელ ესესელთა პატარა ჯგუფის გამოჩენას ყველაზე ოპტიმისტებშიც კი ეჭვი უნდა აღეძრა. თუმცა მოვახერხეთ, ამ სიახლისთვის ყველანაირი ახსნა მოგვეძებნა, გარდა ცხადზე უცხადესი ახსნისა, ასე რომ დეპორტაციის ცნობას ადამიანები მოუმზადებლები შეხვდნენ.

20 თებერვალს გერმანელებმა გულმოდგინედ შეამოწმეს ბანაკი, იტალიელ კომისარს საჯარო და მკაცრი საყვედური გამოუცხადეს სამზარეულოს გაუმართაობისა და გათბობისთვის საჭირო შეშის ნაკლებობის გამო; ისიც თქვეს, მალე სამედიცინო პუნქტს გავხსნითო. მაგრამ 21-ში, დილით, შევიტყვეთ, რომ მეორე დღეს ებრაელები გაემგზავრებოდნენ. ყველანი, უგამონაკლისოდ. ბავშვებიც, მოხუცებიც, ავადმყოფებიც. სად, არავინ იცოდა. ორკვირიანი მგზავრობისათვის უნდა მოვმზადებულიყავით. ყოველი ადამიანის მაგივრად, რომელიც სიის ამოკითხვისას ადგილზე არ იქნებოდა, ათს დახვრეტდნენ.

მხოლოდ ერთი-ორი მიამიტი და ილუზიის მსხვერპლი იმედოვნებდა ჯიუტად, ჩვენ კი დიდხანს ველაპარაკეთ პოლონელ და ხორვატ ლტოლვილებს და ვიცოდით, გამგზავრება რასაც ნიშნავდა.

ტრადიციას სიკვდილმისჯილთათვის დაწესებული აქვს მკაცრად დადგენილი ცერემონია, რომლის მიზანია, აჩვენოს, რომ ყოველგვარი ვნებათაღელვა და ყოველგვარი რისხვა უკვე დამცხრალია და სამართლის აღსრულება მხოლოდ საზოგადოების წინაშე მოსახდელი მოსაწყენი მოვალეობაა, სხვა არაფერი; იმგვარი, რომ შესაძლებელია, ჯალათმა მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობითაც კი აღასრულოს. ამიტომ მსჯავრდებულს ზედმეტად აღარ აწუხებენ, მას მარტო დარჩენისა და, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი სულიერი ნუგეშის მიღების უფლებას აძლევენ, მოკლედ, ზრუნავენ იმაზე, რომ დასჯილმა მის მიმართ სიძულვილი კი არ იგრძნოს ან თვითნებობა კი არ დაინახოს, არამედ აუცილებლობა და კანონიერება და დასჯასთან ერთად – მიტევაბაც.

მაგრამ ჩვენთვის ეს უფლება არ მოუნიჭებიათ, რადგან მეტის-მეტად ბევრნი ვიყავით და დრო ცოტა იყო; და, ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მოგვენანიებინა, ან რა უნდა შეენდოთ ჩვენთვის? იტალიელი კომისრის განკარგულებით, საბოლოო გადანყვეტილების გამოცხადებამდე ყველაფერს უნდა ემუშავა; ამიტომ სამზარეულო ისევ ღია იყო, დასუფთავების ხალხიც ძველებურად საქმიანობდა, ის კი არა, პატარა მოქმედი სკოლის მასწავლებლებმა საღამოს ძველებურად ჩაატარეს გაკვეთილები. მაგრამ იმ საღამოს ბავშვებისთვის დავალება არ მიუციათ.

დადგა ღამე და ის ისეთი აღმოჩნდა, რომ ყველამ გაიაზრა: ამის მნახველი ადამიანი ცოცხალი არ უნდა დარჩენილიყო. ყველამ იგრძნო ეს: ვერც ერთმა ზედამხედველმა, ვერც იტალიელმა, ვერც გერმანელმა, ვერ გაბედა, მოსულიყო და ენახა, რას შვრებიან ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ სიკვდილი ელით.

თითოეული თავისი ბუნების შესაბამისად დაემშვიდობა სიცოცხლეს. ზოგმა ილოცა, ზოგი საშინლად დათვრა, ზოგი თავდავინყებას მიეცა უკანასკნელ, აღვირახსნილ ვნებაში. დედებმა კი ღამე ათიეს ხვალინდელი საგზლის მშვიდ სამზადისში, ბავშვები დაბანეს, ბარგი ჩაალაგეს და განთიადზე ეკლიანი მავთულები სავესე იყო ქარში გასაშრობად გაფენილი საბავშვო თეთრეულით; არც სახვევები დავინყებიათ, არც ბალიშები, არც სათამაშოები, არც ათასი წვრილმანი, მათ რომ კარგად იციან და ბავშვებს რომ მუდმივად სჭირდებათ. განა თქვენც ასე არ იზამდით? ხვალ რომ შვილთან ერთად გკლავდნენ, განა დღეს მას არ აჭმევდით?

მე-6A ბარაკში მოხუცი გატენიო ცხოვრობდა ცოლთან, ბევრ შვილთან და შვილიშვილთან, სიძეებთან და ხელმარჯვე რძლებთან ერთად. კაცები ყველანი დურგლები იყვნენ. ტრიპოლიდან წამოსულებს, გრძელზე გრძელი გზა გამოეველოთ და თან ჰქონდათ ხელსაწყობები, სამზარეულოს მთელი ჯამ-ჭურჭელი, აკორდეონები და ვიოლინო, რომ დაეკრათ და ეცეკვათ სამუშაო დღის ბოლოს, რადგან ტკბილი ხალხი იყო და კეთილმორწმუნე. მათმა ქალებმა, მღუმარეებმა და სწრაფებმა, ყველას დაასწრეს სამგზავროდ

გამზადება, რათა გლოვისთვის დრო დაეტოვებინათ; და როდესაც ყველაფერი მზად იყო, პურის კვერები გამომცხვარი, ბოხჩები გამოკრული, ფეხზე გაიხადეს, თმა გაიშალეს და მიწაზე დაამაგრეს სამგლოვიარო კელაპტრები, აანთეს მამა-პაპათა წესით, წრიულად დასხდნენ მიწაზე, რომ ეტირათ და მთელი ღამე ლოცულობდნენ და გოდებდნენ. ბევრი ვიდექით მათ კართან და სულში ჩაგვეღვარა ჩვენთვის ახალი უძველესი ტკივილი ხალხისა, რომელსაც მიწა არ აქვს, უნუგემო ტკივილი უდაბნოდან გამოსვლისა ყოველ ახალ საუკუნეში.

განთიადის დადგომა ღალატს ჰგავდა; თითქოს ახლამოსული მზე ადამიანებს შეეკრა ჩვენ გასანადგურებლად. ჩვენში შეგნებულნი თანხმობის, შეკავებული ამბოხის, რელიგიური მორჩილების, შიშის, სასონარკვეთისა და მრავალი სხვა გრძნობა ბობოქრობდა და უძილო ღამის შემდეგ კოლექტიურ, უმართავ სიგიჟედ იქცეოდა. ჟამი ფიქრისა, ჟამი გადაწყვეტისა შეიკრა და ყველანაირი აზრი უკონტროლო ქაოსში დაინთქა, სადაც წამიერად, ხანჯალივით მტკივნეულად გაიღვებდნენ დროსა და სივრცეში ჯერ კიდევ ასე ახლობელი, ჩვენი სახლების კეთილი მოგონებები.

ბევრი რამ ითქვა და იქმნა მაშინ ჩვენ შორის; მაგრამ ჯობია, მეხსიერებას ეს არ შემორჩეს.

აბსურდული სიზუსტით, რომელთან შეჩვევა მოგვიანებით მოგვინვედა, გერმანელებმა სია ამოიკითხეს. ბოლოს, – *Wieviel Stück?* – რამდენი ცალია? – იკითხა ოფიცერმა. კაპრალი მოწყვეტით გაეჭიმა და მოახსენა, რომ 650 „ცალი“ ვიყავით და ყველაფერი რიგზე იყო. მერე დიდ ავტობუსებში ჩავგვსხეს და კარპის სადგურზე წავვიყვანეს. აქ მატარებელი და ბადრაგი გველოდებოდა. აქვე ვიგემეთ პირველი დარტყმები; და ეს ისეთი ახალი და აზრსმოკლებული რამე იყო, რომ ტკივილი არც გვიგრძნია, არც სხეულისა, არც სულის. მხოლოდ უსაზღვრო გაოგნება: როგორ შეიძლება ბრაზის გარეშე გვემო ადამიანი?

ვაგონი 12 იყო, ჩვენ – 650; ჩემს ვაგონში მხოლოდ 45 ვიყავით – პატარა ვაგონი იყო. თურმე ეს ყოფილა ჩვენ თვალწინ, ჩვენს ფეხებთან ჩამომდგარი სახელგანთქმული გერმანული ეშელონები, რომლებიც უკან აღარ ბრუნდებიან, ეშელონები, რომლებზეც, ძრწოლითა და ცოტა ურწმუნოდ, ასე ხშირად ვისმენდით. სწორედ ასე იყო, ყოველი სიტყვა მართალი ყოფილა: სატვირთო ვაგონები, გარედან დაკეტილი, შიგნით – კაცები, ქალები, ბავშვები, ერთმანეთს უმონყალოდ მიჭყლეტილები, როგორც იაფფასიანი საქონელი, რომელიც არარაობისკენ მიემგზავრებოდა, ქვევით მიდიოდა, ფსკერისკენ. ამჯერად შიგნით ჩვენ ვართ.

ცხოვრებაში ყველა საკმაოდ ადრე აღმოაჩინეს ხოლმე, რომ სრული ბედნიერება შეუძლებელია, მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაფიქრდება საპირისპირო მოსაზრებაზე: სრული უბედურებაც შეუძლებელია. ამ ორ უკიდურეს მდგომარეობამდე მისვლის ხელის შემშლელი მიზეზები ერთი და იმავე ბუნებისაა: ესაა ჩვენი ადამიანური ყოფა, რომელიც ყოველივე უსასრულოს მტერია; ესაა მომავლის მარად არასაკმარისი ცოდნაც; და ამას ან იმედი ჰქვია, ან ხვალინდელ დღეში დაეჭვება. მიზეზია სიკვდილის გარდაუვალობაც, რომელიც ზღვარს უწესებს ნებისმიერ სიხარულს, მაგრამ ნებისმიერ ტკივილსაც; და ბოლოს, გარდაუვალი მატერიალური საზრუნავი, რომელიც ბედნიერებას გვინამლავს, მაგრამ ასევე მონდომებით გადააქვს ჩვენი ყურადღება თავს დატყობილი უბედურებისგან და ფრაგმენტულს, შესაბამისად, გასაძლებს ხდის მის გააზრებას.

სწორედ შევიწროება, ცემა, სიცივე, წყურვილი იყო ის, რამაც სასონარკვეთის უძირო უფსკრულში ჩავარდნას აგვარიდა მგზავრობისას და მერეც. ეს სიცოცხლის ნება არ ყოფილა, არც შეგნებული დანებება; რადგან ცოტა ვინმე ამის შემძლე და ჩვენ ადამიანთა მხოლოდ რიგითი ნიმუშები ვიყავით.

კარები მაშინვე ჩაკეტეს, მაგრამ მატარებელი მხოლოდ საღამოს დაიდრა. დანიშნულების ადგილის გაგებამ შვება მოგვგვარა:

აუშვიცი – სახელი, რომელიც მაშინ ჩვენთვის არაფერს ნიშნავდა, მაგრამ დედამინაზე რალაც ადგილს ხომ მაინც შეესაბამებოდა³.

მატარებელი წინ ნელა მიიწევდა, ხანგრძლივი, ნერვების დამწყვეტი გაჩერებებით. ჭუჭრუტანიდან დავინახეთ ადიჯეს ხეობის მაღალი, სალი კლდეების რიგი, უკანასკნელი იტალიური ქალაქების სახელები. როდესაც მეორე დღის თორმეტ საათზე ბრენერო⁴ გავიარეთ, ყველა ფეხზე წამოდგა, მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს. ვერ ვიშორებდი ფიქრს, როგორ გამოვივლიდი ამ გზას უკან და შეუბრალებლად ვინვალებდი თავს იმის წარმოდგენით, რა არაადამიანური ბედნიერება იქნებოდა ის გამოვლა, ვაგონის კარი ღია იქნებოდა, რადგან გაქცევა არავის მოუწოდებოდა. ვიხსენებდი პირველი იტალიური დასახლებების სახელებს... ირგვლივ მიმოვიხედე და გავიფიქრე, ნეტა მთელი ამ საცოდავი ადამიანური მტვრიდან რამდენს შეეხება ბედისწერის ხელი-მეთქი.

ჩემი ვაგონის 45 წევრიდან მხოლოდ ოთხმა იხილა საკუთარი სახლი. და ჩემი ვაგონი სხვებზე განუზომლად უფრო იბლლიანი იყო.

წყურვილითა და სიცივით ვიტანჯებოდი. ყოველ გაჩერებაზე ხმამალა ვითხოვდით წყალს ან ერთ მუჭა თოვლს, მაგრამ იშვიათად ისმენდნენ ჩვენსას. გამყოლი ჯარისკაცები ყველას იშორებდნენ, ვინც ეშელონთან მოახლოებას ცდილობდა. ძუძუთა ბავშვებიანი ორი ახალგაზრდა დედა დღედაღამ გმინავდა და წყალს ივედრებოდა. მიმშილი, დაღლილობა და უძილობა ნაკლებად გვანამებდა: ნერვული დაძაბულობის ფონზე ნაკლებად მტანჯველი გამხდარიყო; მაგრამ ღამეს უსასრულო კოშმარები მოჰქონდა.

³ დასახლებას პოლონურად ოსვენციმი ერქვა, აუშვიცი გერმანელებმა დაარქვეს პოლონეთის დაპყრობის შემდეგ. აუშვიცი ადმინისტრაციულად აერთიანებდა ბრენაუს სიკვდილის ბანაკს, მონოვიცის შრომის ბანაკსა და 45 დაქვემდებარებულ ბანაკს სხვადასხვა კატეგორიის ტყვეებისათვის. პოლიტიკურ პატიმრებს, ბომბებს, იელოვას მონუმენტს, ჰომოსექსუალებს, შშმ პირებს, სულით ავადმყოფებს, ჰიტლერის რეჟიმის მონინალმდეგე გერმანელებსა და სხვა კატეგორიებს ტანსაცმელზე დაკერებული სხვადასხვა ფერის სამკუთხედებით განარჩევდნენ.

⁴ უკანასკნელი იტალიური დასახლება ავსტრიის საზღვართან, ბოლცანოს პროვინციაში.

ძალიან ცოტას თუ შეუძლია, ღირსეულად მოკვდეს და ხშირად ეს ის არ არის, ვისგანაც ელი. ცოტას თუ შეუძლია, დადუმდეს და პატივი სცეს სხვის სიჩუმეს. მოუსვენარ ძილს ხშირად გვიტეხდა და ხმაურიანი და უაზრო ჩხუბი, ლანძღვა-გინება და მუშტებისა და ნიხლების უმისამართოდ ქნევა, რითაც თავს იცავდნენ შემანუხებელი და გარდაუვალი შეხებისგან. ამ დროს ვინმე სანთელს ანთებდა და მბჟუტავ შუქზე ვხედავდით იატაკზე გართხმულ შავ მასას, არეულ და აზელილ, ამღვრეულ და ტკივილიან ადამიანურ მატერიას, აქა-იქ თავს რომ წამოსწევდა მოულოდნელი კონვულსიებისგან, მაგრამ, ქანცგანყვეტილი, მაშინვე ჩაქრებოდა.

ჭუჭრუტანიდან ვხედავთ ავსტრიული ქალაქების ნაცნობ თუ უცნობ სახელებს: ზალცბურგი, ვენა; შემდეგ ჩეხურ სახელებს, ბოლოს პოლონურს. მეოთხე სალამოს ძალიან აცივდა: მატარებელი უსასრულო შავ ნაძვნარში მიიწევდა და იგრძნობოდა, რომ აღმართს მიუყვებოდა. მაღალი თოვლი იდო. ალბათ, მეორეხარისხოვანი გზა იყო, სადგურები – პატარა და თითქმის უკაცრიელი. გაჩერებებზე აღარავის უცდია გარე სამყაროსთან დაკავშირება: ვგრძნობდით, უკვე „გაღმა მხარეს“ ვიყავით. დიდხანს ვიდექით გაშლილ მინდორში, მერე ძალიან, ძალიან ნელა მივდიოდით და შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, როდესაც ეშელონი საბოლოოდ გაჩერდა ბნელ და მღუმარე ველზე.

ლიანდაგის ორივე მხარეს თეთრი და ნითელი შუქების რიგები ჩანდა, სადამდეც თვალი მისწვდებოდა. მაგრამ აქ არ ისმოდა თავისებური ხმაური, რომელიც შორიდანვე მიანიშნებს ხოლმე დასახლებულ ადგილზე. ბორბლების რიტმი შეწყდა, ყოველი ადამიანური ჩქამი შეწყდა და უკანასკნელი სანთლის უბადრუკ შუქზე ველოდით, რამე მომხდარიყო.

მთელი მგზავრობის განმავლობაში ჩემ გვერდით ერთი ქალი იყო, ისიც ჩემსავით ჩაჭედილი სხეულებს შორის. დიდი ხანია ვიცნობდი და უბედურებაც ერთად დაგვატყდა თავს. თუმცა ერთმანეთის ბევრი არაფერი ვიცოდით. და მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება მივიღეთ, ერთმანეთს ვუთხარით ის, რაც ცოცხალთა შორის

არ ითქმება. გამოთხოვება სწრაფი იყო. ერთმანეთს დავემშვიდობეთ, ჩვენს სიცოცხლეს დავემშვიდობეთ. აღარ გვეშინოდა.

უცებ ყველაფერი დამთავრდა: კარი გრუხუნით გაიღო, სიბნელეში ექოდ დატრიალდა უცხო ბრძანებები და გერმანელების ბარბაროსული ყეფა, როდესაც ბრძანებას ისე გასცემენ, თითქოს საუკუნოვან ბრაზს იქარვებენო. დავინახეთ რეფლექტორებით განათებული ფართო ბაქანი, ცოტა მოშორებით – მანქანების რიგი. შემდეგ ყველაფერი ისევ დადუმდა. ვილაცამ გვითარგმნა: უნდა ჩავსულიყავით და ბარგი მატარებლის გასწვრივ დაგვეწყო. ერთ წამში ბაქანი მორიალუე ჩრდილებით აივსო, მაგრამ ჩვენ სიჩუმის დარღვევის გვეშინოდა, ყველა თავის ბარგთან ტრიალებდა, ერთმანეთს ეძებდა, ერთმანეთს ეძახდა, მაგრამ მორიდებით, მოგუდული ხმით.

ათამდე ესესელი მოშორებით იდგა, გულგრილი გამომეტყველებით, ფეხებგაჩაჩხული. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ შორის აირივნენ, ხმადაბლა და გაქვავებული სახეებით, დამტვრეული იტალიურით დაგვინყეს სწრაფად გამოკითხვა. ყველა არ დაუკითხავთ, მხოლოდ ზოგიერთები. „რამდენი წელი? ჯანმრთელი თუ ავად?“ და პასუხის მიხედვით ორ სხვადასხვა მიმართულებას გვიჩვენებდნენ.

სიჩუმე იდგა, როგორც აკვარიუმში და როგორც ზოგ სიზმრისეულ ხილვაში. ჩვენ რაღაც უფრო აპოკალიფსურს ველოდით, ესენი კი ჩვეულებრივ პოლიციელებს ჰგავდნენ. და ეს დამაბნეველი და განმაიარალბელი იყო. ვილაცამ გაბედა და ბარგი მოიკითხა. უპასუხეს: „ბარგი მერე“. ვილაც სხვას ცოლთან დაშორება არ უნდოდა; უთხრეს: „მერე ისევ ერთად“; ბევრ დედას არ უნდოდა შვილებთან დაშორება; უთხრეს: „კარგი, კარგი, ბავშვებთან ერთად“ – იმ ადამიანთა მუდამ მშვიდი თავდაჯერებით, რომლებიც მხოლოდ თავის ყოველდღიურ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ; მაგრამ რენცო ერთი წამით დაყოვნდა ფრანჩესკასთან, თავის შეყვარებულთან და მაშინვე სახეში ერთადერთი დარტყმით ძირს დაანარცხეს: ეს იყო მათი ყოველდღიური სამსახური.

ათი წუთი არ დასჭირვებიათ, რომ ყველა ვარგისი კაცისთვის ერთ ჯგუფში მოეყარათ თავი. რა დამართათ სხვებს, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, ვერც მაშინ შევძელით, გაგვეგო, ვერც მერე. ღამემ შთანთქა ისინი, ასე ერთიანად და უბრალოდ. დღეს კი ვიცით, რომ იმ სწრაფ და ზედაპირულ არჩევანში შეფასდა ჩვენი უნარი, შეგვეძლო თუ არა რაინის სასარგებლოდ გვემუშავა. ვიცით, რომ ბუნა-მონოვიციისა და ბირკენაუს ბანაკებში ჩვენი ეშელონიდან მხოლოდ 96 კაცი და 29 ქალი შევიდა და დანარჩენი, ხუთასზე მეტი, ადამიანიდან ორი დღის შემდეგ არც ერთი აღარ იყო ცოცხალი. ვიცით ისიც, რომ შემდგომ ვარგისთა და უვარგისთა გადარჩევის თუნდაც ასეთ ზერელე ხერხს ყოველთვის არ იყენებდნენ. უფრო ხშირად ამაზე მარტივს არჩევდნენ: ახალმოსულებს ვაგონების ორივე მხარეს კარებს უხსნიდნენ, გაფრთხილების ან ინსტრუქციის გარეშე. ისინი, რომლებსაც შემთხვევითობა ერთ მხარეს შთააგონებდა ჩასვლას, ბანაკში შედიოდნენ, დანარჩენები – გაზის კამერაში.

ასე მოკვდა ემილია, რომელიც სამი წლის იყო; რადგან გერმანელებს ისტორიულ აუცილებლობად ეჩვენებოდათ, რომ ებრაელი ბავშვები უნდა დაეხოცათ. ემილია მილანელი ინჟინრის, ალდო ლევის გოგონა, ცნობისმოყვარე, ენერგიული, მხიარული და ჭკვიანი ბავშვი იყო. მგზავრობისას ხალხით გატენილ ვაგონში მშობლებმა როგორღაც მოახერხეს და თუთიის ტაშტში დაბანეს თბილი წყლით, რომლის მოგროვების უფლება ნესების ურჩმა გერმანელმა მემანქანემ მისცათ ლოკომოტივიდან, ყველას სიკვდილისკენ რომ მიგვაქანებდა.

ასე, წამში, მუხანათურად გაქრნენ ჩვენი ქალები, ჩვენი მშობლები, ჩვენი შვილები. თითქმის ვერავინ შეძლო მათთან დამშვიდობება. მათ ცოტა ხანს კიდევ ვხედავდით ბაქნის მეორე ბოლოში, როგორც რაღაც მუქ მასას, შემდეგ აღარაფერი დაგვინახავს.

სამაგიეროდ, ფარებით განათებულ არეალში შემოვიდა უცნაური ადამიანების ორი ჯგუფი, სამ-სამად დანყობილები, როგორღაც დაბორკილი ნაბიჯით მოდიოდნენ, წინ ჩამოგდებული თავითა და გაშეშებული მკლავებით. თავზე სასაცილო ბერეტები ეხურათ,